პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 138 (6193)

1978 წ. 16 ივლისი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სოფლის სპორტი: პრობლემები, პერსპექტივები...

ობიექტივში გურჯაანის რაიონი



## ახალგაზრდობის იმედით

კახეთი... ამ სიტყვის თქმისას თვალწინ დაგიდგებათ გაზაფხულის მზის გულზე გადაჭიმული ალაზნის უკიდეგანო ველი, ზვრებში აცრემლებული ვაზი და ვენახებში მოფუსფუსე ადამიანები. კახეთი — ალმის გორები, სოფელში ამოჩქროლებული, ახლადგამომცხვარი პურის სურნელი და ცხენის ურმის კოფოზე წამომჯდარი, ტკბილად მომღიმარი ბერიკაცი. მერე, ზაფხულის გაუსაძლის ხვატში ზეცისკენ მაცქერალი გლეხები, მავთულზე გადევნებული, შავიამნისფრად დაფერილი ვაზების უსასრულო მწკრივები, ზურგზე აპარტაკიდებული კაცები. ქედევ ჩამოდაბლებული ზეცა, გომბორიდან დაძრული. გულბოროტი ღრუბელი და სეტყვა — კახელი კაცის ძველისძველი დუშმანი. ჩარეგვილი მიდამო, ფოთოლგაძარცვული ვაზები, ტალახსა და სეტყვის ლურჯ მარცვლებში ალუფხული მტევანი. გულჩათუთქული მეზვრის თვალებში აკიაფებული ცრემლი და კახეთი — მრავალჭირნახული, მაგრამ კვლავაც გაუტეხელი, ვაზის ძირთან ჩამუხლული, თმაჩამოთეთრებული ბერიკაცი და იმისი ჩუმი ლიღინი — ვაზო, შვილივით ნაზარდო...

მერე შემოდგომა. ქარვისფრად დამკვრახული მტევნები, ბადაგივით ჩამტკბარი, ფერნაცვალი გარემო, შუბლგახსნილი, გამხიარულებული ადამიანები. მარანი, საწნახელი, გოდრები, შარაგზაზე გაჭიმული, ყურძნით დატვირთული მანქანების ქარავანი და ბოლოს მხიარულად მობუყბუყე გალოთებული ქვევრები.

ნეტავ გაჩვენათ მევენახის ხელები — დიღრონები, გაშავრკინავებულები, დაკოჟრილები. ნეტავ გაჩვენათ, როგორ აუვლის და ჩაუვლის მავთულზე გაბმული ვაზების მწკრივს კახელი გლეხი, რანაირად უციმციმებს შუქჩამდგარი თვალები, როგორი სიყვარულითა და სინაზით დაჭგურგურებს თითოეულ მტევანს.

გახსოვებათ ამას წინათ საქართველოს ტელევიზიის მიერ მიწყობილი გადაცემა, სადაც იყალთოელმა ვეტერანმა კოლმეურნემ ალექსი ჭიბალაშვილმა სახალხოდ დაიჩივლა — სოფლის ახალგაზრდობის დიდი ნაწილი როგორღაც მოსწყდა მიწას, ვენახს გაურბის, ვაზის სიყვარული დაკარგაო...

ამ სიტყვებში მიწაზე, ვაზზე, მამულზე შეყვარებული გლეხკაცის გულისტკივილი გამოსჭვივის, გლეხკაცისა, რომლის მსგავსთაც შემოინახეს, გადაარჩინეს მტრისგან მრავალჯერ აჩეხილი და განადგურებული ვაზის დალოცვილი ძირი. ახლა, კახეთში, ალაზნის უკიდეგანო ველზე მწვანედ ღაღანებენ თვალუწვდენელი ზვრები. ბეჯითად შრომობენ იქაური მევენახეები, დიდ ამაგს თხოულობს ვაზი — გასხვლაო, დაბარვაო, შეფურჩქვნაო, შეწამვლაო, წყლის მიგდებაო... იოლი როდია ვენახის მოვლა — იქნება სწორედ ამიტომაც მიიწევენ ქალაქისკენ ახალგაზრდები, ამიტომაც ემძიმებათ მიწასთან ჭიდილი და ოფლის წურვა.

იმ საღამოს, სატელევიზიო გადაცემის მონაწილეებმა, არაერთი საჭირბოროტო საკითხი წამოჭრეს, ითქვა, რომ ახალგაზრდებს ჯერ კიდევ ვერ აინტერესებენ მატერიალურად, ღლევანდელი სოფელი კვლავაც განიცდის კლუბების, კულტურის სახლების, სპორტული ნაგებობების ნაკლებობას.

(დასასრული მე-2 გვ).

* * *

სურათზე: გურჯაანის ახალი სპორტული დარბაზი.

ი. კოტორაშვილის ფოტო.

მიეძღვნა კომკავშირის 60 წლისთავს

## მეტალურგები — იმზიღლეს!

ზესტაფონის, ჭიათურისა და რუსთავის ბაზებზე დამთავრდა მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მე-17 საზაფხულო სპარტაკიადა, რომელიც კომკავშირის მე-60 წლისთავს მიეძღვნა.

ასპარეზობის პროგრამაში იყო შეჯიბრებები სპორტის 13 სახეობაში. სულ სტარტზე 980-მდე მეტალურგი და სამთოელი ფიზკულტურელი გამოვიდა.

პირველ ჯგუფში ტრადიცია არ დარღვეულა — პირველობა იყვ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ძლიერმა კოლექტივმა დაიკავა, მან 13-დან 11 სახეობაში გამარჯვება მოიპოვა და სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა. მეორე ადგილზე გავიდა ჭიათურის სამთომადნო კომბინატის ნაკრები.

მეორე ჯგუფში გამარჯვებისთვის იბრძოდა ექვსი ფიზკულტურული კოლექტივი. ყველას აჯობა მადნეულის სამთოგამამდიდრებელი კომბინატის ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ, რომელმაც 13-დან 8 გუნდური პირველი ადგილი მოიგო. მეორე ადგილი ერგო „ცენტმეტალურგრემონტის" რუსთავის სამშენებლო სამმართველოს.

სპარტაკიადამ მაღალ დონეზე ჩაიარა. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ორგანიზაცია მხოლოდ 2-3 სახეობაში მონაწილეობით დაკმაყოფილდა, ზოგმა კი სპარტაკიადას საერთოდ თავი აარიდა.

გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდნენ გარდამავალი თასებით, ცალკეულ სახეობებში უძლიერესი კოლექტივები — ვიმპელებით. პირად პირველობებში საუკეთესო სპორტსმენებს გადაეცათ მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სიგელები.

შედგა ნაკრები 10 სახეობაში. ეს გუნდები სექტემბერში მონაწილეობას მიიღებენ „განთიადის" ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადაში.

ზ. ჯორჯაძე.

## დაწინაურდა ტუკმაკოვი

ვილნიუსი, 15 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის XIX ტრადიციულ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში გუშინ III ტური ჩატარდა.

მ. ჩიბურდანიძემ შავებით უარესი პოზიცია მიიღო სსრ კავშირის ჩემპიონ ბ. გულკოსთან პარტიაში და ხანგრძლივი დაცვა მოუხდა. მერე ცაიტნოტში მოექცა და დამარცხდა. ქ. კაიშაური (შვეცია) შეხვდა დიდოსტატ ა. ბელიავსკის. პარტია დაუმთავრებელი დარჩა. მოსალოდნელია ყაიმი.

## ჭადრაკი

ვ. ტუკმაკოვმა მოუგო ლიტვის ჩემპიონ გ. პეშინას, მ. დვორეცკიმ — მ. დამიანოვიჩს (იუგოსლავია), ს. რეშევსკიმ (აშშ) — გ. ლებრედოს (კუბა). ყაიმზე შეთანხმდნენ ი. ლეხტინსკი (ჩეხოსლოვაკია) — ლ. ესპიგი (გდრ) და ტ. პეტროსიანი — ი. ჩომი (უნგრეთი).

სსრ კავშირის ჩემპიონმა ი. დორფმანმა უკეთეს პოზიციაში გადადო პარტია ვ. მიკენასთან.

3 ტურის შემდეგ ვ. ტუკმაკოვს 2,5 ქულა აქვს, ბ. გულკოს — 2 ქულა და 1 გადადებული პარტია, ლ. ესპიგს — 2.

## ბოლოსწინა შეხვედრები

დაუგავპილსი, 15 ივლისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ). სსრ კავშირის 46-ე ჩემპიონატის მასობრივ შესარჩევ ტურნირში გუშინ ბოლოსწინა, XII ტურის შეხვედრები ჩატარდა.

ზ. სტურუამ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ნ. მიშუჩკოვთან (ლენინგრადის ოლქი), დ. გედევანიშვილმა — ა. იურტაევთან (ფრუნზე) და გ. ზაიჩიკმა — ბ. ტაბოროვთან (კიევი). ე. გუფელდმა სძლია ი. გაისერს (ნოვოსიბირსკი). ახლა ჩვენს მოჭადრაკეებს აქვთ: გუფელდს — 7, სტურუას, ზაიჩიკს — 5-5, გედევანიშვილს — 4,5.

ლიდერობენ ჰ. კასპაროვი (ბაქო), ი. ივანოვი (უზბეკეთი) — 8,5-8,5, ვ. ცეშკოვსკი (ომსკი), ა. კაპენგუტი, ვ. კუპრეიჩიკი (ორივე — მინსკი) და ა. მიხალჩიშინი (ლვოვი) — 8-8.



თბილისისა და რუსთავის ბაზებზე დამთავრდა საკავშირო შეჯიბრება ჟურნალ „ზა რულიომ"-ის პრიზზე. ტურნირში მოზარდი ავტომოყვარულები მონაწილეობდნენ. საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს დონის როსტოვის სპორტსმენებმა. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ სარატოვისა და მოსკოვის ოლქის კოლექტივები.

* * *

სურათებზე: მარცხნივ — შეჯიბრების სანახავად მოსული მაყურებლები ასეთ ტრიბუნებზეც არ ამბობდნენ უარს; ესტაფეტაში შეჯიბრების სტარტზე.

ჯ. კასრაძის ფოტოები.

(ასპარეზობის ანგარიში იხ. შაბლოიეს ნომერში).



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოფლის სპორტი: პრობლემები, პერსპექტივები...

# ახალგაზრდობის იმედით

დასასრული

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა: **„დღეს საკითხი მხოლოდ ასე შეიძლება დაისვას: მეურნეობათა ხელმძღვანელები, პარტიული კომიტეტები, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანოები სოფლის მშრომელთა საბინაო და საყოფაცხოვრებო საჭიროებების, გაზრდილი კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ნაკლებად როდი უნდა ზრუნავდნენ, ვიდრე წარმოების განვითარებისთვის“.**

ამ მხრივ ბევრი კარგი საქმე გაკეთდა, მაგრამ, როგორც ჩანს, კვლავაც ბევრია გასაკეთებელი.

გურჯაანის რაიონის სპორტკომიტეტისა და „კოლმეურნის“ რაისაბჭოს შენობები თითქმის გვერდიგვერდ არიან, მაგრამ არცერთი თავმჯდომარე ადგილზე არ დაგვიხვდა — ხვალ საქართველოს პირველობა იწყება კალათბურთში და ახალ დარბაზში იქნებიანო — გვითხრეს. ქალაქის ცენტრიდან დარბაზი კარგა მოშორებით ყოფილა და იქ ერთმა ღვთისნიერმა კაცმა მიგვიყვანა მანქანით. დარბაზი კი არა, სპორტის შესანიშნავი სასახლე წამოუჭიმავთ გურჯაანელებს — მაღალი, ლამაზი, თეთრად გაქათქათებული. შენობის გრილ დერეფნებში ჯერაც იგრძნობა კირისა და შეუმშრალი საღებავის სუნი, ირგვლივ ადამიანები ფუსფუსებენ — ჰგვიან, წმენდავენ, ასუფთავებენ. ვათვალიერებთ სასახლის შიგთავსს — კალათბურთის დარბაზი, 25-მეტრიანი საცურაო აუზი, 50-მეტრიანი სასროლეთი, გასახდელები, საშხაპეები, მსაჯების, ექიმების ოთახები...

— მშენებლები მალე საქვაბესაც მოამთავრებენ და აუზში ცხელი წყალი გვექნება, —გვეუბნება დოსააფის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი უტიაშვილი.

კალათბურთის დარბაზში „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარის შალვა არუთინაშვილის ხელმძღვანელობით ბიჭები ბადეს ჰკიდებენ ფანჯრებზე. თბილისელი სპეციალისტები ახალ ელექტროტაბლოს ამოწმებენ.

— გურჯაანსაც ეწვია დიდი სპორტი, — ღიმილით იძახის შალვა.

შადრევნებითა და ბალახიანი გაზონებით მორთულ ეზოშიც დიდი გამოცოცხლებაა. აქ მონდომებით შრომობენ ვეჯინის სანერგე მეურნეობის, გურჯაანის საბჭოთა მეურნეობის, ველისციხის, ვაზისუბნისა და ჩუმლაყის კოლმეურნეობათა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები, ერთად აგროვებენ სამშენებლო ნარჩენებს და მანქანის ძარაზე ტვირთავენ.

გურჯაანის „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს 21 ფიზკულტურულ კოლექტივში 5104 ახალგაზრდაა გაერთიანებული, რომელთა შორის ყოველწლიურად ტარდება რაისაბჭოს პირველობა სპორტის სხვადასხვა სახეობაში. წელს უკვე გაიმართა შეჯიბრებები ფრენბურთში, ქართულ ჭიდაობაში, ფეხბურთში, შაშში, ტყვიის სროლაში, მაგიდის ჩოგბურთში, ხელბურთსა და მძლეოსნობაში. კარდანახში მოეწყო სამამულო ომის გმირის ვლადიმერ ბეროშვილის სახელობის თასის გათამაშება ფრენბურთში და ასპარეზობა „შინმოუსვლელთა თასზე“ ქართულ ჭიდაობაში. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს რაიონის ყველა სოფელში მოეწყო ღია საჭიდაოები, სადაც ყოველ შაბათ-კვირას ტარდება შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. ეს ასპარეზობები უკანასკნელ ხანს ძალზე პოპულარული გახდა, გურჯაანელთა საჭიდაოებზე მეზობელი რაიონებიდანაც კი მოდიან სტუმრები.

რაიონში საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა სპორტული მოედნების, ფეხბურთის მინდვრების, საცურაო აუზების მოწყობას. წელს ჩუმლაყის კოლმეურნეობამ 55 ათასი მანეთი გაიღო ახალი სპორტული კომპლექსის მოსაწყობად. ახლა ჩუმლაყელ ფიზკულტურელებს უკვე აქვთ ფეხბურთის შესანიშნავი მინდორი, კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის მოედნები, მძლეოსნური სექტორები. ივლისის ბოლოს დამთავრდება ღია საცურაო აუზის მშენებლობა.

შესანიშნავი სპორტული ბაზის მშენებლობაა დაგეგმილი სოფელ შაშიანში, სადაც საჭირო ტერიტორია უკვე გამოყოფილია და მალე მშენებლობაც დაიწყება. ფეხბურთის მინდვრები და სპორტული მოედნები მოეწყობა კალაურისა და გურჯაანის საბჭოთა მეურნეობებში.

გასულ წელს ვეჯინის სახელწიფო სანერგე მეურნეობაში ფიზკულტურის მეთოდისტის ვ. რიკაძის თაოსნობით აშენდა ახალი სპორტული კომპლექსი — მოეწყო ფეხბურთის მინდორი, ფრენბურთის, კალათბურთის მოედნები და სახტომი სექტორები. რიკაძე ახლა კოლაგის სანერგე მეურნეობაში გადავიდა სამუშაოდ და იქაც ჩვეული ენთუზიაზმით ილწვის — მალე კოლაგელებს ახალი საცურაო აუზი ექნებათ.

ზაფხულის განმავლობაში ეწყობა შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები ქართულ ჭიდაობაში, ფრენბურთში, ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, შაშში, ჭადრაკსა და სპორტის სხვა სახეობაში. ამ მხრივ კარგად მუშაობენ გურჯაანის (დირექტორი გ. ალნიაშვილი), ვეჯინის (დირექტორი გ. ლაშქარაშვილი), კალაურის (ა. ჩიბარაშვილი) საბჭოთა მეურნეობების, ჩუმლაყის (თავმჯდომარე შ. ყამბარაშვილი), ჭანდრის (ო. ჯოხაძე) კოლმეურნეობებისა და ბაკურციხის მეურნეობა-ტექნიკუმის (დირექტორი მ. იაშვილი) ფიზკულტურელები. მუკუზანში, ჩალაუბანში, შაშიანსა და ქოდალოში კი სპორტული მუშაობა სამწუხაროდ ვერა დგას სათანადო სიმაღლეზე.

რაიონში არის სპორტული სკოლა, სადაც 17 სასწავლო ჯგუფში გაერთიანებული ბავშვები სპორტის შვიდ სახეობას ეუფლებიან (თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, კალათბურთი, ხელბურთი, ფეხბურთი, მძლეოსნობა, ფრენბურთი). რესპუბლიკის მოსწავლეთა სპარტაკიადაზე სკოლის აღსაზრდელებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს — ხელბურთელებმა, რომლებიც მესამე ჯგუფის კოლექტივებს შორის ასპარეზობდნენ, II საპრიზო ადგილი დაიკავეს. ასევე II ადგილი დაიკავეს ფრენბურთელებმაც, ხოლო კალათბურთელები III ადგილზე გავიდნენ.

გურჯაანის სპორტული სკოლის აღსაზრდელი, ძიუდოისტი თ. ბიწკინაშვილი საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში ჩაირიცხა, ვეჯინელი პ. სიმონიშვილი და ახაშნელი მ. სირბილაშვილი თბილისის „ავაზაში“ ითამაშებენ, ფრენბურთელები გ. ჭიჭიკაშვილი და ე. ზარდიაშვილი კი ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრები გუნდის კანდიდატები არიან.

— კარგი პირობებით ვერ დავიკვეხნით, — გვითხრა სპორტსკოლის დირექტორმა ვალერიან ქაჩლიშვილმა, — სკოლას გამოყოფილი აქვს საკმაოდ მოძველებული დარბაზი, სადაც არც გათბობაა და არც შხაპი. გვაკლია სპორტული ინვენტარი, საჭიდაო ლეიბებიც დაგვიძველდა, არა გვაქვს ფეხბურთის მინდორი და ჩვენი მოსწავლეები ქალაქის სტადიონზე ვარჯიშობენ. გურჯაანელი ბავშვები მალე ახალ სპორტდარბაზში დაიწყებენ წვრთნას, მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ ახალი დარბაზი ცენტრიდან საკმაოდ დაშორებულია და სამარშრუტო ავტობუსი თუ არ დაინიშნა, მოსწავლეებს ძალზე გაუჭირდებათ იქ სიარული. აღსანიშნავია, რომ პარტიის გურჯაანის რაიკომის ბიუროს დადგენილების საფუძველზე რაიონის ყველა სკოლაში უნდა აშენდეს ღია საცურაო აუზი, რაც კარგ შედეგებს გამოიღებს. ასეთი აუზები უკვე აქვთ ჩალაუბნის, მუკუზნის, შრომისა და ბაკურციხის საშუალო სკოლებს. ჩუმლაყსა და ყიტაანში კი საცურაო აუზები მალე ჩადგება მწყობრში.

**როგორც ჩანს გურჯაანის რაიონის ხელმძღვანელებს შესანიშნავად ესმით ფიზკულტურისა და სპორტის როლი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში და კარგად იციან, რომ სპორტული ბაზების სიმრავლე, მასობრივ-ფიზკულტურული მოძრაობის ფართოდ გაშლა სოფლად იმის უთუო საწინდარია, რომ ახალგაზრდობა უფრო მეტად შეიყვარებს საკუთარ სოფელს და ქალაქისაკენ აღარ გაუწევს გული ეს კი, რასაკვირველია, მეტ მუშახელს და ამასთან სოფლის თანამედროვე სატკივარის განკურვნას ნიშნავს.**

ალაზნის უკიდეგანო ველზე მწვანედ ღაღანებენ თვალუწვდენელი ვენახები, ლარივით გაჭიმულან მავთულს გადევნებული, შაბიამნისფრად დაფერილი ვაზების უსასრულო მწკრივები. მალე დადგება შემოდგომა, ბადაგივით ჩატკბება ფერნაცვალი გარემო, მანამდე კი ათასი საზრუნავია — ახალგაზრდების იმედით არიან გურჯაანელთა ზვრები.

ნ. შატაიძე
(ჩვენი სპეც. კორ.)

• • •



სურათზე: ახალ სპორტდარბაზში.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

# ირინა

## ისინი გამოვლენ ტაშკენტში



**ისინი** ცხრანი არიან. ნაკრების წევრები. მხატვრული ტანვარჯიშის „პატარა მსახიობები“. ერთი შეხედვით ყველანი საოცრად წააგვანან ერთმანეთს, განსაკუთრებით, გასახდელში, — კეფაზე დახვეული სრიალა თმითა და ჯერ ისევ ჩამოუყალიბებელი, გრძელი, მოქნილი ფეხებით.

ამ მომხიბლავ გოგონათა დასს, ნელი სალაძე „რეჟისორობს“, ოღონდ აქ არც სცენა და კულისებია, არც გრიმი და პარტნიორები.

...შინაურები ირას ეძახიან. ოდნავ ღია ფერის თმა და ნათელი თვალები აქვს. ჯერ მხოლოდ თხუთმეტისაა.

— ის არის სურვილებითა და სიყვარულით აღსავსე, — უფაქიზესი შეფარული ღიმილით ამბობს ნ. სალაძე, მისი მწვრთნელი და მასწავლებელი.

როცა ულამაზეს საბალეტო ცეკვას ვუყურებთ, უკმარობის გრძნობა უცხო და შორეული ხდება ჩვენთვის. ირინა ჟემჩუჟინას ყოველი გამოსვლაც ცეკვაა, ყოველი მოძრაობა — დახვეწილი, უაღრესად სადა და სრულყოფილი, სულით-ხორცამდე მუსიკასთან შენივთებული.

მხატვრული ტანვარჯიშის „სამყაროში“ პირველად რვა წლის წინათ გამოჩნდა ბაფთიანი, პატარა გოგონა, რომელმაც თან მოიყოლა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, ინდივიდუალური სტილი, შესრულების საკუთარი მანერა. სწორედ აქ იჩინა თავი ნელი სალაძის ფრთხილმა „რეჟისორულმა“ ჩარევამ, წვრთნის მისეულმა სკოლამ. მან ბოლომდე აზიარა ირინა სპორტის ყვავილისად ქალურსა და ლამაზ სახეობას. ამ ხნის განმავლობაში ბევრმა დაძაბულმა, ხმაურიანმა დღეებმა და მღელვარე გამოსვლებმა ჩაიარეს.

რა თქმა უნდა, გამარჯვებები იოლად არ მოსულა. ყოველდღიური ვარჯიში, ენერგიის დაუშურებელი ხარჯვა იყო და არის მისი წარმატებების სათავე.

რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი, ქალაქის თასის მფლობელი, თბილისელი ირინა ჟემჩუჟინა, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრობის კანდიდატია უფროსი ასაკის გოგონათა შორის.

ის არ არის დიდებისა და კვარცხლბეკის მაძიებელი სპორტსმენი. ნაკლებად აღელვებს ტიტულები. მთავარი მხოლოდ გამოსვლაა, შესრულება, სულიერი განცდების მოძრაობაში გარდასახვა, რასაც ჭეშმარიტად აღწევს კიდეც. ირინასთვის ყველაზე თბილი, ყველაზე მახლობელი, სპორტული დარბაზის ხმაურიანი ტრიბუნები, მწვრთნელისა და გულშემატკივრების დაძაბული, ოდნავ ნერვიული მოლოდინია.

„ავე-მარია“ — ასე ჰქვია ირინას ერთ-ერთ გამოსვლას. ვარჯიში ბურთით სრულდება. „დამდგმელი“ — ნ. სალაძე. ეს მხოლოდ საკუთარი თვალით უნდა ნახოთ, რათა შეიგრძნოთ უცილობლად გრაციოზული, ჰაეროვნად გაფაქიზებული მოძრაობა.

მაგრამ... როცა დიდებულ ფორმაში იყო, როცა ახლის მოლოდინში იყვნენ მწვრთნელიც და გულშემატკივრებიც, ვარჯიშის მთელი წლით მიტოვება მოუხდა სპორტული ჟინითა და სურვილებით ავსებულს.

თუმცა დღეს უკვე მოგონებად ქცეულა ის ტრავმაც, გადატანილი ოპერაციაც და ჩუმი, უფერული დღეებიც, მწვრთნელი მაინც დიდი გულისტკივილით იხსენებს.

— იცით, როგორ გვაკლდა ირა?! ის ხომ ტონის მიმცემი, გუნდის კლიმატის შემქმნელი იყო.

ირინა ჟემჩუჟინა დღეს კვლავ შესანიშნავ ფორმაშია. გამოტოვებულმა ერთმა წელმა, თითქოს წერტილი დაუსვა მისი წარმატებების პირველ პერიოდს, პირველ ეტაპს.

მისთვის ახალი სპორტული ცხოვრება დაიწყო. ახალი გამარჯვებები, რწმენით და იმედებით სავსე გულშემატკივრები მოუთმენლად ელიან ირინას გამოჩენას.

მიმდინარე წლის სექტემბერში სტარტს იღებს მოსწავლეთა სპარტაკიადა ტაშკენტში. დღეს ყველაფერი ამ შეჯიბრებისკენაა მიმართული, ყველგან მისი მაჯისცემა ისმის.

საქართველოს ნაკრებიდან ექვსი ტანმოვარჯიშე გოგონა გაემგზავრება ტაშკენტში.

— დიდი სურვილი მაქვს გამარჯვება მოვუპოვო ჩემს გუნდს, — მორიდებულად მიმხელს ირინა.

ეს ყველასგან გამორჩეული გოგონა სწავლაშიც საუკეთესოა. მეგობრები? ისინი რა თქმა უნდა ბევრნი არიან. ერთად კამათობენ და ოცნებობენ, ერთად უხარიათ ყველაფერი.

— თავისუფალ დროს რას აკეთებთ ირინა?

— ვხატავ...

ჯერ მხოლოდ თხუთმეტისაა. ოდნავ ღია ფერის თმა და ნათელი თვალები აქვს. შინაურები! ირას ეძახიან.

მზია გედიაშვილი.

• • •

სურათებზე: ირინა ჟემჩუჟინა.

ა. კოტორაშვილისა და ჯ. კახრაძის ფოტოები.



## ჯანმრთელობა სპორტით

### ქუთაისი

ქუთაისის „დინამოს“ სტადიონზე დამთავრდა „ტყავის ბურთის“ პრიზის საქალაქო გათამაშება ფეხბურთში, რომელშიც საბინაო-საექსპლოატაციო კანტორების 35 გუნდი მონაწილეობდა. ყველას აჯობა № 3 კანტორის ბავშვთა და მოზარდთა ოთახის (მწვრთნელი ი. უუბანეიშვილი) გუნდმა, რომელიც 1965-66 წლებში დაბადებული მოზარდებით იყო დაკომპლექტებული.

ი. ბუხაიძე.

### ზუგდიდი

დოსააფის საქალაქო კომიტეტმა ჩაატარა სამამულო ომის ვეტერანთა პირადი პირველობა პნევმატური თოფის სროლაში. 75 მონაწილეს შორის იმარჯვა ა. პაპავამ (სარაიონთაშორისო სააფთიაქო სამმართველო), რომელმაც 98 ქულა მოაგროვა. II და III ადგილები ერგოთ დ. კარაბაშვილსა (მონკავშირი) და მ. კუხალეიშვილს (თავდაცვის შტაბი) — 95 ქულა თითეულს.

გ. ალშიბაია.

## ჯანმრთელობა სპორტით

# უმაღლესი ლიგა

## დაიწყო მეორე წრე

**14 ივლისს** მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ადგილობრივ გუნდებს — „ტორპედოსა" და „ლოკომოტივს" შორის.

ტაიმის დასარულს წინ გაიღნენ ლოკომოტიველები (შევჩუკი), მაგრამ შესვენების შემდეგ ბუტურლაკინმა გაქვითა გოლი, ხოლო სახაროვმა გამარჯვება მოუტანა „ტორპედოს".

გაფრთხილებულია პეტრენკო („ლოკომოტივი").

დუბლიორთა მატჩი მოიგეს ტორპედოელებმა — 2:1.



## დუბლიორთა მატჩი

**საუკეთესოდ** გამოდის წლევანდელ გათამაშებაში თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა სათადარიგო შემადგენლობა, რომელიც მტკიცედ ლიდერობს დუბლიორთა საკავშირო ტურნირს 14 ივლისს თბილისელები თავიანთ მინდორზე შეხვდნენ დნეპროპეტროვსკის „დნეპრს" და დაძაბულ ბრძოლაში შეძლეს გამარჯვების მოპოვება — 1:0.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: დინამოელ გ. აფხაზავას გადამწყვეტი ბურთი გააქვს „დნეპრის" კარში.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

### საქართველოს პირველობა გათამაშების ცხრილები

### II ჯგუფი

#### I ზონა

მდგომარეობა 15 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ხიონი" | 18 | 13 | 2 | 3 | 43—14 | 28 |
| „მესხეთი" | 18 | 13 | 2 | 3 | 42—19 | 28 |
| „გარძია" | 17 | 10 | 4 | 3 | 39—20 | 24 |
| „ბაქსმოტ". | 16 | 10 | 4 | 2 | 25—9 | 24 |
| „ბული" | 18 | 10 | 4 | 4 | 23—17 | 24 |
| „ლაზანი" | 16 | 8 | 6 | 2 | 41—20 | 22 |
| „მართლი" | 18 | 9 | 2 | 7 | 49—19 | 20 |
| „ვარეჯი" | 18 | 8 | 4 | 6 | 27—21 | 20 |
| „განახლება" | 18 | 7 | 5 | 6 | 28—26 | 19 |
| „იორი" | 17 | 9 | 1 | 7 | 37—39 | 19 |
| „განთიადი" | 18 | 6 | 6 | 6 | 30—22 | 18 |
| „ჰერეთი" | 15 | 6 | 4 | 5 | 21—23 | 16 |
| „გარისი" | 17 | 4 | 4 | 9 | 25—43 | 12 |
| „ბახტრ." | 17 | 2 | 7 | 8 | 14—31 | 11 |
| „არაგვი" | 18 | 2 | 6 | 10 | 19—31 | 10 |
| „ფიჩხოვანი" | 17 | 3 | 4 | 10 | 23—41 | 10 |
| „გამარჯვ." | 18 | 3 | 4 | 11 | 22—53 | 10 |
| „ცისკარი" | 18 | 2 | 4 | 12 | 20—56 | 8 |
| „თრიალ." | 18 | 2 | 3 | 13 | 15—39 | 7 |

#### II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „იმერეთი" | 16 | 12 | 4 | 0 | 41—11 | 28 |
| „სულორი" | 17 | 13 | 2 | 2 | 36—18 | 28 |
| „შუქურა" | 17 | 12 | 3 | 2 | 32—13 | 27 |
| „ბახმარო" | 15 | 8 | 5 | 2 | 33—17 | 21 |
| „მექადალ." | 17 | 9 | 1 | 7 | 29—22 | 19 |
| „ნაკადული" | 17 | 7 | 4 | 6 | 24—19 | 18 |
| „ჩამომსხ." | 17 | 6 | 5 | 6 | 24—22 | 17 |
| „ავტომ". ზ. | 17 | 6 | 5 | 6 | 20—28 | 17 |
| „გიგანტი" | 16 | 5 | 5 | 6 | 24—26 | 15 |
| „ოჯალეში" | 16 | 6 | 3 | 7 | 24—27 | 15 |
| „ავტომ." ა. | 17 | 4 | 7 | 6 | 15—20 | 15 |
| „მეშაქრე" | 16 | 4 | 7 | 5 | 21—26 | 15 |
| „შახტიორი" | 17 | 5 | 2 | 10 | 21—37 | 12 |
| „ავტომ". გ. | 16 | 4 | 3 | 9 | 18—25 | 11 |
| „სამგურ." | 17 | 3 | 5 | 9 | 13—28 | 11 |
| „სენაკი" | 17 | 2 | 6 | 9 | 19—29 | 10 |
| „ნარუჯა" | 17 | 3 | 4 | 10 | 12—25 | 10 |
| „ავტომ." მ. | 16 | 4 | 1 | 11 | 22—35 | 9 |

# „ნ ა პ ო ლ ი" სერიოზული მეტოქეა

**თბილისის** „დინამოს" პირველი მეტოქე უეფა-ს თასის გათამაშებაში — იტალიური საფეხბურთო კლუბი „ნაპოლი" ევროპაში საკმაოდ ცნობილი კოლექტივია. გუნდი სისტემატურად მონაწილეობს დიდ საკლუბო ტურნირებში და, თუმცა, დიდი წარმატებებისთვის არ მიუღწევია, მას ყველა მეტოქე მაინც სიფრთხილით ეპყრობა.

კლუბი ჩამოყალიბდა 1904 წელს, პირველი საერთაშორისო მატჩი ჩაატარა 1912 წელს, 20-იან წლებში გაერთიანდა კლუბ „ინტერნაციონალესთან" (ნეაპოლი) და მიიღო სახელწოდება „ინტერნაპოლი", მაგრამ 1926 წლიდან გუნდმა კვლავ აღიდგინა ძველი სახელწოდება.

„ნაპოლი" არც ერთხელ არ ყოფილა იტალიის ჩემპიონი, თუმცა ხშირად ახლოს იყო ამ მიზანთან, განსაკუთრებით 1975 წელს, როცა კვალში ჩაუდგა „იუვენტუსს". მაშინ ნეაპოლელებს მხოლოდ 2 ქულა დააკლდათ. იმ წელს „ნაპოლიმ" მოიპოვა 14 გამარჯვება, 13 მატჩი ფრედ დაამთავრა და მხოლოდ 3 წააგო.

ევროპულ საკლუბო ტურნირებში კლუბმა 1962-63 წლების სეზონში აიღო პირველად სტარტი (თასების მფლობელთა თასი) და მეოთხედფინალს მიაღწია.

1975 წელს უეფა-ს თასის გათამაშებაში ნეაპოლელები შეხვდნენ მოსკოვის ტორპედოელებს. პირველი მატჩი მოსკოვში მოიგო „ტორპედომ" — 4:1, მეორე, ნეაპოლში დამთავრდა ფრედ — 1:1.

უეფა-ს თასის წლევანდელ გათამაშებაში „ნაპოლი", შეიძლება ითქვას, ბოლო წუთს მოხვდა. საქმე ისაა, რომ გუნდმა თავისი ქვეყნის ჩემპიონატში დაიკავა მხოლოდ VI ადგილი, იტალიას კი ევროპულ ტურნირში დაეთმო 4 ადგილი — მეორედან — მეხუთემდე, ქვეყნის ჩემპიონატის შედეგების მიხედვით. მაგრამ მილანის „ინტერნაციონალემ", რომელმაც V ადგილი დაიკავა, მოიგო იტალიის თასი და ამის გამო „ნაპოლიმ" მიიღო უეფა-ს თასზე მონაწილეობის უფლება.

ამ კლუბს თვითვე შეეძლო მოეგო თასი. იგი ფინალში შეხვდა „ინტერს" და დაწინაურდა კიდეც ანგარიშში, მაგრამ საბოლოოდ წააგო — 1:2 (გოლი ნეაპოლელთაგან გაიტანა რესტელიმ). იტალიის თასის დასკვნითი ნაწილი მიმდინარეობდა არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში. 8 გუნდი დაყოფილი იყო 2 ჯგუფად. „ნაპოლისთან" ერთად ჯგუფში მოხვდა „იუვენტუსიც" (ბუნებრივია, ნაკრებში გაწვეული წამყვანი მოთამაშეების გარეშე), „მილანი" და „ტორონტო". „ნაპოლიმ" დააგროვა იმდენივე ქულა, რამდენიც „მილანმა", მაგრამ გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით გავიდა ფინალში.

უკანასკნელად ევროპულ ტურნირში „ნაპოლი" მონაწილეობდა 1976-77 წლების სეზონში, როგორც იტალიის თასის მფლობელი. გუნდმა მაშინ მიაღწია ნახევარფინალს და ეს იყო მისი ყველაზე დიდი წარმატება.

იტალიური პრესის აზრით „ნაპოლიმ" თასის მატჩებში საკმაოდ კარგი ფეხბურთი აჩვენა, კოლექტივი ზუსტად ასრულებდა მწვრთნელის მითითებებს. „ნაპოლის" უცვლელი ლიდერია მისი მეკარე გუნდის ფუძეა... არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის 40 კანდიდატის სიაში „ნაპოლის" მხოლოდ 2 ფეხბურთელი მოხვდა იტალიის ნაკრებში — 31 წლის ჯუზეპე სავოლდი და 25 წლის ლივიო პინი.

თასის გათამაშების დამთავრების შემდეგ ამ კლუბის 3 ფეხბურთელი — მეკარე მასიმო მატოლინი, მცველი საულო კატელანი და თავდამსხმელი ლუჩიანო კიაროჯი საუკეთესო ფეხბურთელთა შორის მოხვდნენ.

ბევრნი ვარაუდობენ, რომ იტალიურ ფეხბურთში ერთადერთი კარგი გუნდი „იუვენტუსია". მაგრამ უკვე იგრძნობა სერიოზული კონკურენცია სხვა კლუბების მხრიდან. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან „ნაპოლისაც", რომელიც თანდათან ანახლებს და აძლიერებს თავის რიგებს. ისი კი ევროპულ საკლუბო ტურნირებში სუსტი მეტოქეები არ არის, რაშიც არაერთხელ დავრწმუნებულვართ.

ა. გორბუნოვი
(საქდესი — საქინფორმი).

# ტანვარჯიში

## ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოცდის წინ

**უჩვეულოდ** საინტერესო და საპასუხისმგებლო შეჯიბრებებს ელით წლის მეორე ნახევარში ჩვენს ტანმოვარჯიშეებს. სექტემბრის ბოლოსთვის ტაშკენტში დანიშნულია მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადის ტურნირი სპორტულ ტანვარჯიშში, ხოლო 22-29 აგვისტოს დონეცკში გაიმართება სსრ კავშირის თასის გათამაშება. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ კარზეა მომდგარი სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა (მოსკოვი, 1979 წლის ივლისი).

როგორ გამოიყურებიან ამ შეჯიბრებების წინ საქართველოს ტანმოვარჯიშეები? ამ კითხვაზე ნაწილობრივ პასუხი უნდა გაეცა საქართველოს თასის გათამაშებასა და მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში რესპუბლიკის ჩემპიონატს, რომელიც ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა თბილისში, გ. ევნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის ცენტრალური სკოლის სპორტულ დარბაზში.

ასპარეზობაში 41 ტანმოვარჯიშე მონაწილეობდა. შეჯიბრების აშკარა დადებით მხარესთან ერთად, რაც პროგრამის ორიგინალობაში გამოიხატებოდა (განსაკუთრებით ქალებში), სამწუხაროდ, მონაწილეთა უმრავლესობის მომზადების დონე დაბალი იყო. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ მთელმა რიგმა სპორტსაზოგადოებებმა საასპარეზოდ არასრული გუნდები გამოიყვანეს. ყოველივე ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ რესპუბლიკის ტანვარჯიშის ფედერაციის, სპორტსაზოგადოებებისა და მწვრთნელების წინაშე საქართველოს ნაკრების დაკომპლექტების საქმეში რთული ამოცანა დგას.

ერთადერთი გუნდი, რომელიც სრული შემადგენლობით გამოვიდა, თბილისის განათლების განყოფილების ნაკრები იყო. სწორედ მან, შეიძლება ითქვას, ყოველგვარი ბრძოლის გარეშე მოიპოვა გუნდური პირველობა.

პირად ჩათვლაში ქალთა შორის საუკეთესო იყო თბილისის 82-ე საშუალო სკოლის მეცხრეკლასელი, 15 წლის სპორტის ოსტატი ელენე გოლოვატენკო („განთიადი"), რომელსაც საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ვ. კლიმოვა ავარჯიშებს. გამარჯვებულის შედეგია 73,5 ქულა. ე. გოლოვატენკოს კიდევ ორ იარაღზე (ბჯენით ხტომები და ორძელი) არ ჰყავდა ბადალი.

ვაჟებში თასი მოიპოვა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეოთხეკურსელმა, დინამოელმა გურამ ბახიამ (110,3 ქულა), რომელსაც სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ნ. ბახუტაშვილი და ა. ცოპაია ამზადებენ. გ. ბახია ამ შეჯიბრებაზე კიდევ ხუთჯერ ავიდა გამარჯვებულის კვარცხლბეკზე (იგი არ გამოვიდა მრავალჭიდის მხოლოდ ერთ სახეობაში — ძელზე).

პრიზიორთა შორის არიან: ქალებში — ი. ხატიაშვილი („დინამო") და ე. ციმაკურიძე (განათლების განყოფილება), ვაჟებში ა. ალავიძე („დინამო") და ჯ. ალთუნაშვილი („შრომითი რეზერვები").

— ასპარეზობამ ჩვენს ტანმოვარჯიშეთა მზადებაში ბევრი ნაკლოვანი მხარე გამოავლინა — გვითხრა საქართველოს სპორტკომიტეტის ტანვარჯიშის განყოფილების გამგემ, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ი. ოგანოვმა. — უნდა აღინიშნოს „დინამოს", „განთიადის", „ბურევესტნიკის" და ზოგიერთ სხვა სპორტსაზოგადოებათა არასერიოზული დამოკიდებულება ამ შეჯიბრებისადმი.

ო. ოთარაშვილი.

# უშეღავათო თამაშის მოლოდინში

**ჩემპიონის** ტახტის უბრძოლველად დატოვებით რ. ფიშერმა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა ა. კარპოვი. ახალგაზრდა საბჭოთა დიდოსტატს ჩემპიონის ტიტული მიულოცეს, მაგრამ საჭადრაკო სამყარო შეფიქრიანდა: თუ არის ნამდვილად უძლიერესი გვირგვინოსანი. ა. კარპოვმა არ იწყინა დაეჭვება და ენერგიულად შეუდგა დიდ ტურნირებში მონაწილეობას. იგი თავგამოდებით ეპაექრებოდა სახელგანთქმულ მოჭადრაკეებს და მალე სრული აღიარება მოიპოვა.

ვიდრე კარპოვი იბრძოდა ჭადრაკის „მეფის" პრესტიჟის განმტკიცებისათვის, მსოფლიოში ახალი პრეტენდენტის გამოსავლინებელი ციკლი მიმდინარეობდა.

1976 წელს ფიდე-მ საზონათშორისო ტურნირები მოაწყო. მანილაში (ფილიპინები) და ბილეში (შვეიცარია). თითოეულში 20 მოჭადრაკე მიიწვია, მათ შორის იყო ყველა ფავორიტი.

მანილაში პრეტენდენტის საგზურები მოიპოვეს ე. მეკინგმა (ბრაზილია) — 13 ქულა, ვ. ჰორტმა (ჩეხოსლოვაკია) და ლ. პოლუგაევსკიმ — 12,5-12,5. ბილეში პირველი იყო ბ. ლარსენი (დანია) — 12,5. II-IV ადგილები გაიყვეს ტ. პეტროსიანმა, მ. ტალმა და ლ. პორტიშმა (უნგრეთი) — 12-12. საჭირო შეიქმნა დამატებითი მატჩ-ტურნირის გამართვა ორი პრეტენდენტის გამოსავლინებლად. ოთხრიან ბრძოლაში ტალი დამარცხდა.

1977 წელი მთლიანად დაეთმო პრეტენდენტთა შეხვედრებს. საზონათშორისო ტურნირებში გამარჯვებულთ შეუერთდნენ წინა ციკლის ფინალური მატჩის მონაწილე ვ. კორჩნოი და ბ. სპასკი, რომელიც ფიდე-მ ფიშერის მაგიერ მიიწვია.

პრეტენდენტები დაწყვილდნენ და ბრძოლაც დაიწყო. მეოთხედფინალურ მატჩში სპასკიმ სძლია ჰორტს — 8,5:7,5, პორტიშმა — ლარსენს — 6,5:3,5. მერე ნახევარფინალში სპასკიმ პორტიში დაამარცხა — 8,5:6,5. მატჩები კორჩნოიმაც წარმატებით გაიარა. ჯერ მოუგო პეტროსიანს — 6,5:5,5, მერე პოლუგაევსკის — 8,5:4,5. პოლუგაევსკიმ მეოთხედფინალურ შეხვედრაში ფარ-ხმალი დააყრევინა მეკინგს — 6,5:5,5.

სპასკი—კორჩნოის ფინალური მატჩი გაიმართა შემოდგომაზე ბელგრადში. შეხვედრა უკიდურესობამდე დრამატულად მიმდინარეობდა. I პარტიაში ყაიმის შემდეგ კორჩნოიმ ხელთ იგდო ინიციატივა: მან მოიგო II, III პარტიები, მერე, ზედიზედ სამ ყაიმს მიაყოლა გამარჯვებები VII, VIII და X პარტიებში (IX პარტია ყაიმით დამთავრდა) და თითქოს მატჩის ბედიც გადაწყდა, მაგრამ ამ დროს ჩარხი შემოტრიალდა. სპასკიმ ზედიზედ მოიგო XI, XII, XIII პარტიები, მაგრამ მეტი ველარ შეძლო. ორი ყაიმის შემდეგ მან წააგო XVII, XVIII პარტიები და მატჩიც.

და აი, კარპოვ—კორჩნოის მატჩის სტარტის დროც დადგა. 17 ივლისს იგი საზეიმოდ გაიხსნება ფილიპინების საავგარაკო ქალაქ ბაგიოში, რომელიც 200 კილომეტრის სავალ გზაზეა მანილიდან.

კარპოვი და კორჩნოი უკვე ორი კვირაა ბაგიოში არიან. მათ ახლავთ მწვრთნელები: მსოფლიო ჩემპიონს — დიდოსტატები ი. ბალაშოვი და ი. ზაიცევი, პრეტენდენტს — ინგლისელი დიდოსტატები რ. კინი და მ. სტინი.

მატჩი გაგრძელდება იქამდე, ვიდრე ერთ-ერთი მეტოქე 6 პარტიას მოიგებს. ყაიმი მხედველობაში არ მიიღება. ეს არის პირველი მატჩი მსოფლიო პირველობის ისტორიაში, რომელიც არ შეიძლება ყაიმით დამთავრდეს. მსოფლიო ჩემპიონს წაგების შემთხვევაში მატჩრევანშის უფლება აქვს, რომელიც მან წლის მანძილზე უნდა გამოიყენოს. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ მატჩი სულ ცოტა, ორ თვეს გასტანს.

რა შეიძლება ითქვას მეტოქეთა შესახებ? 27 წლის კარპოვი გამოირჩევა დიდი ერუდიციით, საუცხოოდ დახვეწილი, რაციონალური სტილით. იგი იშვიათად აგებს და ყველა პარტიაში ბოლომდე იბრძვის. კორჩნოიც, რომელიც კარპოვზე 20 წლითაა უფროსი, შეუპოვარი მოთამაშეა. მეტოქენი ერთმანეთს ბოლოს 1974 წელს შეხვდნენ პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში, რომელიც კარპოვმა მოიგო (+ 3—2=19).

ჭადრაკის სამყარო უშეღავათო ბრძოლის მოლოდინშია. 19 ივლისს მთავარი მსაჯი, დასავლეთგერმანელი საერთაშორისო დიდოსტატი და არბიტრი ლ. შმიდტი (იგი სპასკი—ფიშერის მატჩის მთავარი მსაჯიც იყო) ჩართავს საათს და მეტოქენი I პარტიის თამაშს შეუდგებიან. ასე დაიწყება ვაჟთა შორის მსოფლიო პირველობის მატიანის კიდევ ერთი ფურცელი.

თ. გიორგაძე.

## მატჩები მსოფლიო პირველობაზე

1886 წ. **სტეინიცი** — ცუკერტორტი, 12,5:7,5 (+10—5=5).
1889 წ. **სტეინიცი** — ჩიგორინი, 10,5:6,5 (+10—6=1).
1890—91 წწ. **სტეინიცი** — ჰუნსბერგი, 10,5:8,5 (+6—4=9).
1892 წ. **სტეინიცი** — ჩიგორინი, 12,5:10,5 (+10—8=5).
1894 წ. **ლასკერი** — სტეინიცი, 12:7 (+10—5=4).
1896—97 წწ. **ლასკერი** — სტეინიცი, 12,5:4,5 (+10—2=5).
1907 წ. **ლასკერი** — მარშალი, 11,5:3,5 (+8—0=7).
1908 წ. **ლასკერი** — ტარაში, 10,5:5,5 (+8—3=5).
1909 წ. **ლასკერი** — იანოვსკი, 8:2 (+7—1=2).
1910 წ. **ლასკერი** — შლეხტერი, 5:5 (+1—1=8).
1910 წ. **ლასკერი** — იანოვსკი, 9,5:1,5 (+8—0=3).
1921 წ. **კაპაბლანკა** — ლასკერი, 9:5 (+4—0=10).
1927 წ. **ალიოხინი** — კაპაბლანკა, 18,5:15,5 (+6—3=25).
1929 წ. **ალიოხინი** — ბოგოლიუბოვი, 15,5:9,5 (+11—5=9).
1934 წ. **ალიოხინი** — ბოგოლიუბოვი, 15,5:10,5 (+8—3=15).
1935 წ. **ეივე** — ალიოხინი, 15,5:14,5 (+9—8—=13).
1937 წ. **ალიოხინი** — ეივე, 15,5:9,5 (+10—4=11).
1948 წ. **ბოტვინიკი** (გაიმარჯვა მატჩ-ტურნირში).
1951 წ. **ბოტვინიკი** — ბრონშტეინი, 12:12 (+5—5=14).
1954 წ. **ბოტვინიკი** — სმისლოვი, 12:12 (+7—7=10).
1957 წ. **სმისლოვი** — ბოტვინიკი, 12,5:9,5 (+6—3=13).
1958 წ. **ბოტვინიკი** — სმისლოვი, 12,5:10,5 (+7—5=11).
1960 წ. **ტალი** — ბოტვინიკი, 12,5:8,5 (+6—2=13).
1961 წ. **ბოტვინიკი** — ტალი, 13:8 (+10—5=6).
1963 წ. **პეტროსიანი** — ბოტვინიკი, 12,5:9,5 (+5—2=15).
1966 წ. **პეტროსიანი** — სპასკი, 12,5:11,5 (+4—3=17).
1969 წ. **სპასკი** — პეტროსიანი, 12,5:10,5 (+6—4=13).
1972 წ. **ფიშერი** — სპასკი, 12,5:8,5 (+7—3=11).
1975 წ. **კარპოვი** — ფიშერი (ფიშერმა მატჩი არ ითამაშა).

# „ელვა", „ლელო" და „ლოკომოტივი"

**თამამად** შეიძლება ითქვას, რომ ჩოხატაურის პარტიულ-კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების ზრუნვით ეს რაიონი საქართველოში რეგბის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტად გადაიქცა — უკვე მერამდენე ტურნირი ჩატარდა და მუდამ წარმატებით, ორგანიზებულად.

ჩოხატაური ამჟერად 1960-61 წლებში დაბადებულ იუნიორთა რესპუბლიკურ ჩემპიონატს მასპინძლობდა. საპრიზო ხუთი გუნდი შეჯიბრდა — თბილისის „ელვა" და „ლოკომოტივი", ჩოხატაურის „ლელო", ჭიათურისა და ქუთაისის კოლექტივები. ტურნირი მიზნად ისახავდა იმ უძლიერესი გუნდის გამოვლენას, რომელიც საკავშირო პირველობაში იასპარეზებს.

„ელვამ" ყველას აჯობა. ასპარეზობაში, რომელიც კარგად ჩაატარა საკავშირო კატეგორიის მსაჯმა გ. მრელაშვილმა (თბილისი), „ელვამ" ყველა შეხვედრა მოიგო. მას ერთგვარი მეტოქეობა გაუწიეს მხოლოდ „ლოკომოტივმა" — 12:6 და „ლელომ" — 11:6. ჭიათურელები და ქუთაისელები კი მასთან დიდი ანგარიშით დამარცხდნენ, შესაბამისად — 3:66 და 0:35.

„ლელოს" მეორე ადგილი ამ ტურნირში დიდი წარმატებაა, მაგრამ კანონზომიერია. ქართული ეროვნული თამაშის ლელოსა და რეგბის შერწყმამ ჩოხატაურის რაიონის სპორტსმენებს საშუალება მისცა საკმაოდ მალე მტკიცედ დამდგარიყვნენ ფეხზე. იქ უკვე რაიონის პირველობაც გაიმართა, „ლელომ" კი უფრო ძლიერ, უფრო გამოცდილ „ლოკომოტივთან" შეხვედრაში მეტოქის „ქალაქის" ერთი ალებით (4:0) თავისთვის II საპრიზო ადგილი უზრუნველყო. მასპინძლებმა ჭიათურელებს სძლიეს ანგარიშით 31:3, ქუთაისის გუნდს მოუგეს ანგარიშით 25:3.

„ლოკომოტივმა" ფაქტიურად ერთი გამარჯვება იზეიმა ჭიათურის გუნდთან შეხვედრაში — 46:3. ქუთაისელები კი მათთან მატჩზე არ გამოცხადდნენ, რისთვისაც რეინიგზელებს 30:0 გამარჯვება მიეწიჭათ და III ადგილზე აღმოჩნდნენ.

გაკვირვებას იწვევს ქუთაისის კოლექტივის სუსტი თამაში. ამ ქალაქის „სახლმშენი" საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ადგილის დამკვიდრებისათვის იბრძვის, მისი რეზერვი კი ისე უხეიროდ გამოიყურება, რომ ბოლო ადგილს თავი ვერ დააღწია. მან ჭიათურელებთანაც წააგო — 3:4.

თუ ჭიათურასა და ჩოხატაურში გამოჩნდნენ ენთუზიასტები, რომლებმაც პარტიულ-სამეურნეო ორგანოების დახმარებით ამ საინტერესო სახეობის დანერგვა და გუნდების შექმნა შეძლეს, რატომ ვერ აღწევენ ამას მაგალითად, ლანჩხუთის, მახარაძის, სამტრედიის და სხვა რაიონებში, სადაც ლელოს კარგი ტრადიციები აქვთ?

**ნ. მამაგეიშვილი.**

## რეგბი

**უმაღლესი** ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის კალენდარი ასეთია:

**დღეს თამაშობენ:** „ლოკომოტივი" (თბილისი) — „პოლიტეხნიკი" (კიევი), „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ავიატორი" (კიევი), „სლავა" (მოსკოვი) — „ფილი" (მოსკოვი);

**23 ივლისს** — „პოლიტეხნიკი" — „ფილი", „ავიატორი" — „სლავა", „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი);

მერე ჩემპიონატზე 27 აგვისტომდე დასვენებაა. ამ პერიოდში, როგორც წესი, ჩატარდება საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიას" პრიზზე (ამჯერად ხარკოვში).

ჩემპიონატი **27 აგვისტოს** განახლდება. ერთმანეთს ხვდებიან: „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „პოლიტეხნიკი", „სლავა" — „ლოკომოტივი" (თბილისი), „ფილი" — „ავიატორი".

## ფინალური ტურნირების კალენდარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**3 სექტემბერი.** „პოლიტეხნიკი" — „ავიატორი", „ფილი" — „ლოკომოტივი" (თბილისი), „სლავა" — „ლოკომოტივი" (მოსკოვი);

**10 სექტემბერი.** „სლავა" — „პოლიტეხნიკი", „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ფილი", „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ავიატორი";

**17 სექტემბერი.** „პოლიტეხნიკი" — „ლოკომოტივი" (თბილისი), „ავიატორი" — „ლოკომოტივი" (მოსკოვი), „ფილი" — „სლავა".

**24 სექტემბერი.** „ფილი" — „პოლიტეხნიკი", „სლავა" — „ავიატორი", „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" (თბილისი);

**1 ოქტომბერი.** „პოლიტეხნიკი" — „ლოკომოტივი" (მოსკოვი), „ლოკომოტივი" (თბილისი) — „სლავა", „ავიატორი" — ფილი".

**მართალია** კრივი ძირითადად დრამატული სიტუაციების შემცველი სპორტის სახეობაა, მაგრამ გამონაკლისი ამ შემთხვევაშიც ხდება. კომიკური ვითარება ზოგჯერ რინგზეც იქმნება ხოლმე.

ამის ერთი მაგალითია ცნობილი ფრანგი შანსონიესი და მოყვარული მოკრივის, მორის შევალიეს შეხვედრა პროფესიონალ ზანგ მოკრივე ჯოე ჰანსთან. გთავაზობთ ამ ბრძოლის სურათს, რომელიც შევალიეს აღწერილი აქვს თავის წიგნში „ჩემი ჰანგები და გზა ჩემი ცხოვრებისა".

**საქართველოს კრივის ფედერაციის აგიტაციისა და პროპაგანდის კომისიის თავმჯდომარე ედიშერ გიორგაძე.**



# მოკრივე-მსახიობი

### კრივის მოყვარულთა კუთხე

რის ორანჟისში იყო მოხუც მსახიობთა სახლი, რომელსაც მსახიობები ვინახავდით. ამისათვის ვაწყობდით სპეციალურ, საქველმოქმედო კონცერტებს. ხალხის მოსაზიდად დროთა განმავლობაში საჭირო შეიქნა ახალი, ორიგინალური ნომრების გამოძებნა. მაშინ კრივის ჩემპიონატები საფრანგეთში იშვიათობა იყო. ერთ ჩვენგანს აზრად მოუვიდა მოგვეწყო დიდი წარმოდგენა მიუზიკ-ჰოლის საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით. სპექტაკლი უნდა დასრულებულიყო თეთრკანიანი და ზანგი მოკრივის ორთაბრძოლით. მოიწვიეს იმ დროს სახელმოხვეჭილი ზანგი მოკრივე ჯოე ჰანსი, მის პარტნიორად კი კოლეგებმა მე გამამწესეს, შენ ყველაზე პოპულარული ხარ ახალგაზრდა მსახიობთა შორის, თანაც კრივის ხერხებშიც გაწაფული, მთელი პარიზი მოვა ამ მატჩის საყურებლადო, განმიცხადეს მათ.

ძნელი გამოცდა მელოდა და უარი ვთქვი.

მაშინ საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა ღიმილით მითხრა: ჩვენ მოვურიგდებით ჯოე ჰანსს, ის მოგცემს საშუალებას ორი რაუნდი იმუშაო, მესამე რაუნდში კი დაგნებდება, ხალხს ისე მოაჩვენებს, ვითომ ნოკაუტი მიიღო. დავთანხმდი, რაკი ასეთი პირობა მომცეს. ამგვარი შეხვედრისთვის მე სავსებით ვარგისი გახლდით.

პარიზი აფიშებით გაივსო. დადგა მატჩის დღე. დარბაზში გამოვცხადდი. ხალხი უგულოდ უსმენდა კონცერტს. ყველა ორთაბრძოლის მოლოდინში იყო.

რინგზე ავიდა რეფერი, ცნობილი ათლეტი, ლამის ტრიუმფალური თაღის ოდენა ემალ მეტრო. ახლა არ იკითხავთ ჩემს სეკუნდანტებს? გვერდს მიმშვენებდნენ მსოფლიოს კრივის ვარსკვლავი ჟორჟ კარპანტიე და გამოჩენილი ფრანგი მოკრივეები ოგანი და ბერნარი.

დარდიმანდულად გადავახტი რინგის თოკებს. შუბლზე თმის კულული ჩამომეშალა. ვიცი თუ როგორ მიხდება ეს და თმას არ ვისწორებ, დარბაზი ოვაციებით მესალმება, მე მორიდებულად მიჭირავს თავი. თუმცა სიცოცხლეს საფრთხეში ვიგდებ თქვენს გასართობად, მაინც არ ღირს ამდენი ტაშისცემა.

სეკუნდანტები ხელ-ფეხისა და მუცლის კუნთებს მიზელენ. ყველა მე მომჩერებია. ზანგს ზედაც არავინ უყურებს. ისე ნაღვლიანად ზის, ლამის მივიდე, ჩემი სახელოვანი სეკუნდანტები გადავულოცო და მოვეფერო. აი, დიქტორი მგრგვინავი ბანით აცხადებს: „ახლა შედგება 10 რაუნდიანი ბრძოლა ჯოე ჰანსსა (ზანგი დგება, კანტიკუნტად გაისმის ტაში) და მორის შევალიეს შორის!" ფეხზე ვდგები. დარბაზი ქუხს.

რეფერი რინგის ცენტრში გვიწვევს ორთავეს.

ღიმილით ვუახლოვდები მეტოქეს. თავაზიანად ვართმევ ხელს. ზანგი თვალს არ მისწორებს. ცივად მპასუხობს, მართებულადაც იქცევა. ასე ვერავინ შეატყობს გასამრჯელო რომ აქვს აღებული. შესანიშნავად გაითამაშა გოროზი მოწინააღმდეგის როლი, ჩინებული მსახიობია, ვფიქრობ გულში. ლოჟიდან მიმზერს ესტრადის მშვენება მისტენგეტი. ასეთი ქალის წინაშე თავი არ უნდა შეირცხვინო. რწმენით აღვსილი ვარ, რომ საფრთხე არ მელის და სხეულის მიმოძრაობით რინგის დიდოსტატებს ვბაძავ, თანაც ვირჩევ განსაკუთრებით ლამაზ პოზებს. ზანგმა მიყურა, მიყურა, მერე მომეჭრა, მარცხენა მომიქნია. ყასიდად და ისე მკვახედ შემომკრა მარჯვენა, რომ ტკივილისაგან წელში თითქმის მოვიკაკვე, არაადამიანური ძალისხმევით გავსწორდი და მაშინ მეტოქემ მოინდომა გაემეორებინა დარტყმა. რაღაც სასწაულით ავიცილე, უკან გადავხტი და მუშტი მხოლოდ მსუბუქად ასხლტა ჩემს ნიკაპზე. ტანში გამზარა, როცა წარმოვიდგინე, რა ყოფაში ჩავვარდებოდი, ეს დარტყმა რომ მომხვედროდა.

ამ დროს ყურში ჩამესმა კარპანტიეს ხმა: „მარცხენათი მოიგერიე მორის, მარცხენათი და სახე დაიფარე!"

ზანგი ამოსუნთქვას აღარ მაცლიდა, ფეხდაფეხ მსდევდა, რინგის ირგვლივ მარბენინებდა. ძალზე გამიჭირდა და კარპანტიეს რჩევას მივდიე. მარცხენათი ვაკავებდი მეტოქეს. რამდენჯერმე ცხვირშიც მოვახვედრე. ზანგმა შეანელა შეტევა. მე კი ჯარასავით ვბრუნავდი, რათა მეტოქის უძრავ მიზნად არ ვქცეულიყავი. მომენტი შევარჩიე და როცა ერთმანეთს დავუახლოვდით, ჩავულაპარაკე: შკუიდან ხომ არ შეიშალეთ, ეს არის თქვენი სიტყვა?

ზანგს სიბრაზე გამოეხატა სახეზე.

— მე ფულზე არ ვიყიდები, — კბილებში გამოსცრა მან. და ხელახლა მომდგა. არასოდეს არ მეგონა თუ შიში ადამიანს კალიად აქცევდა. დავარტყამდი მარცხენას და ორ მეტრზე გავხტებოდი. განზე ვუტევდი, ხან ზურგს უკან მოვექცეოდი, ერთი ორჯერ მგონი ზედაც გადავახტი. ახლოს არ ვიკარებდი. წინ მე ვი უკან ის. კრივის მატჩი სპრინტერთა შეჯიბრებას დაემსგავსა. ასე იყო თუ ისე, ვერა და ვერ მომიხელთა. ჩავუნისკარტებდი მარცხენათი და მყის გავუქრებოდი თვალთაგან. ასე დამთავრდა პირველი რაუნდი.

ჩემი სეკუნდანტები აღშფოთდნენ — საცაა სპორტული კომედია დრამად გადაიქცეოდა. ცხადი იყო, ზანგი ეპირებოდა ნოკაუტი ეწვნია ჩემთვის. ხუთწუთიანი შესვენების დროს (ასე იყო დათქმული), ჩემმა ერთ-ერთმა სეკუნდანტმა, საფრანგეთის ჩემპიონმა საშუალო წონაში ადრიენ ოგანმა ზანგ მოკრივეს განუცხადა, რომ თუ იგი გატეხდა სიტყვას, მატჩის შემდეგ, რომელზეც ძალზე მოხუც, უპატრონო მსახიობთა ბედი იყო დამოკიდებული, პირადად მასთან ექნებოდა საქმე. არც ამან გასჭრა, ზანგი მთელი მეორე რაუნდი კვლავინდებურად არ მეშვებოდა და მომძახოდა — ფულზე სახელს არ ვყიდიო. თქმულა, გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გიჩვენებო. მეც გავრბოდი, რაც ძალი და ღონე მქონდა... ოღონდ, ამასობაში, ხამუშ-ხამუშ მარცხენასაც ვახვედრებდი. მეტოქე თანდათან მოტყდა და მეორე პაუზის დროს განაცხადა, შემდეგ რაუნდში დავნებდებიო. ეტყობა მობეზრდა ეს მასხარაობა. მესამე რაუნდის დასაწყისში დაღლილობისა და მღელვარებისაგან აძიგძიგებული ხელი სუსტად მოვახვედრე ზანგს. ასეთი დარტყმა არამცთუ ნოკაუტს გამოიწვევდა, საგრძნობ ტკივილსაც კი არ მიაყენებდა ამ მრავალნაცად მოკრივეს. ჯოე ჰანსი კი მყის გაიშოტა იატაკზე.

ხალხმა იცნოსა შეთანხმება, ყველანი ჩუმად დაიშალნენ. მართალია აღშფოთება არავის გამოუთქვამს, მაგრამ არც დიდი აღფრთოვანება გამოუხატავს ვინმეს. ამ მატჩით დასრულდა ჩემი „დიდებული" კარიერა რინგზე.

## ხელბურთი

**კიევში,** ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირზე — „კიევის თასზე" მესამე დამარცხება იწვნიეს ზედიზედ გფრის სპორტსმენებმა. მათ წააგეს სსრ კავშირის მეორე ნაკრებთან — 16:19. ჩვენი ქვეყნის პირველი ნაკრები შეხვდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გუნდს. გაიმარჯვეს პირველი ნაკრების ხელბურთელებმა — 21:19.

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოსა" და „სპორტლოტო-2"-ის 28-ე ტირაჟისა, რომელიც 12 ივლისს მოსკოვში მოეწყო.

„სპორტლოტო": ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 2319 მანეთია, ხუთისთვის — (შელავათიანი ბურთულით) — 87, ოთხისთვის — 62, სამისთვის — 3.

„სპორტლოტო-2" ექვსი (შეღავათიანი ბურთულით) ციფრის გამოცნობისთვის მოგება 2724 მანეთია, ხუთისთვის — 1724, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 124, ოთხისთვის — 99, სამისთვის — 3.

მოგებული თანხა გაიცემა 23 ივლისიდან 23 აგვისტოს ჩათვლით.

**გუშინ** მოსკოვში მოეწყო „შაბათის სპორტლოტოს" მორიგი 28-ე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები და სახეობები:

**პირველი:** 10 (ფრენბურთი), 15 (ძიუდო), 18 (მძლეოსნობა), 27 (თანამედროვე ხუთჭიდი), 36 (მოიბიანი ჰოკეი).

**მეორე:** 6 (კლასიკური ჭიდაობა), 18 (მძლეოსნობა), 29 (ტყვიის სროლა), 35 (ბალახის ჰოკეი), 36 (მოიბიანი ჰოკეი).

რედაქტორის მოადგილე **ზ. ჯაფარიძე.**

**„ლოკომოტივის" სტადიონი**
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74).
16 ივლისი
**რეგბი**
სსრ კავშირის ჩემპიონატი
(უმაღლესი ლიგა)
„ლოკომოტივი" (თბილისი) —
„პოლიტეხნიკი" (კიევი)
დასაწყისი 18 ს. 30 წ.

## ველოსპორტი

**საბჭოთა** ველოსიპედისტები წარმატებით გამოვიდნენ მაინის-ფრანკფურტის ბეტონის ტრეკზე. მათ მოუგეს გფრ-ის ველოსიპედისტებს საერთო ანგარიშით — 9:6. ოთხ კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში გაიმარჯვა ტალინელმა ო. ლიადოვმა—4.56,2. მეორე იყო კ. ბინტინგი — 5.05,0. ერთ კილომეტრზე რბოლა მოიგო რიგელმა უ. ანსონსმა — 1.09,63. ოთხ კილომეტრზე გამოდევნებით გუნდური რბოლა საბჭოთა ველოსიპედისტების გამარჯვებით დამთავრდა (4.32,56), ხოლო გფრ-ის გუნდი დისტანციიდან გავიდა. შუალედური ფინიშებით რბოლაში საბჭოთა გუნდმა 35 ქულა დააგროვა, ხოლო გფრ-მ — 30. მხოლოდ სპრინტში შესძლეს მასპინძლებმა გამარჯვება. აქ ადგილები ასე განაწილდა: შელერი, შვაიგჰარდტი (ორივე — გფრ), ანსონსი, ვ. სუმაროკოვი (მოსკოვი).

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკვესა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-66-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-58; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ქალაქის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.